



სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო

13 იანვარი 2025



N 2/ს

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

ბაღდათის მუნიციპალიტეტის მიერ ბაღდათის მუნიციპალიტეტში, სოფ. ხანში, მდ. ხანისწყლის ნაპირდაცვითი (ნაპირსამაგრი) სამუშაოების სკრინინგის გადაწყვეტილების შესახებ

ბაღდათის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ, გზშ-ის ჩატარების საჭიროების დადგენის მიზნით, სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოში წარმოდგენილია ბაღდათის მუნიციპალიტეტში, სოფ. ხანში, მდ. ხანისწყლის ნაპირდაცვითი (ნაპირსამაგრი) სამუშაოების სკრინინგის განცხადება.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით, საპროექტო ტერიტორია მდებარეობს ბაღდათის მუნიციპალიტეტში, სოფ. ხანში, მდ. ხანისწყლის მარჯვენა ნაპირზე, სადაც ხანგრძლივი წვიმების შედეგად, გამოირეცხა მდ. ხანისწყლის მარჯვენა ნაპირი, რის შედეგადაც დაიმეწყრა მიმდებარედ არსებული საავტომობილო გზის ფერდი. აღნიშნულიდან გამომდინარე, სოფ. კაკასხიდის და სოფ. ხანის დამაკავშირებელი ადგილობრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზის სტიქიის შედეგად დაზიანებული მონაკვეთის რეაბილიტაციის პროექტის ფარგლებში, მდ. ხანისწყლის მარჯვენა სანაპირო ზოლში განვითარებული გვერდითი მეწყრული პროცესის შესამცირებლად და დაზიანებული მონაკვეთის აღდგენის მიზნით, დაგეგმილია ნაპირდაცვითი სამუშაოების განხორციელება და ნაპირსამაგრი ნაგებობების მოწყობა. ავარიული უბნის საწყისი და ბოლო წერტილის GPS კოორდინატებია (X-330013, Y-4647577; X-330097, Y-4647393). სკრინინგის განცხადებაზე თანდართული shp ფაილების გადამოწმებით, საპროექტო ტერიტორია ნაწილობრივ ხვდება სახელმწიფო ტყეში, ხოლო უახლოესი საცხოვრებელი სახლი დაშორებულია დაახლოებით 555 მეტრით.

სკრინინგის განცხადების თანახმად, ნაპირსამაგრი სამუშაოების განხორციელებამდე გათვალისწინებულია საპროექტო ტერიტორიაზე არსებული ხე-მცენარეების გარემოდან ამოღება, რის შემდგომაც მოხდება მდ. ხანისწყლის კალაპოტის ფორმირება-შეცვლა, ვინაიდან, ნაპირსამაგრი ნაგებობების ძირის მოწყობა უნდა განხორციელდეს მდინარის კალაპოტში. ნაპირდაცვითი სამუშაოების ფარგლებში საპროექტო ტერიტორიაზე განთავსდება რკინა-ბეტონის დამცავი ქვაყრილი, ხოლო შემდგომ მოეწყობა დაახლოებით 110 მეტრი სიგრძის მქონე რკინა-ბეტონის კედლის კონსტრუქცია (GPS კოორდინატები: X- 329978, Y- 4647528, X-330002, Y-4647453). აღნიშნული კონსტრუქციის მოწყობის შემდეგ, საავტომობილო გზის სავალ ნაწილამდე განთავსდება გაბიონები.

წარმოდგენილი ინფორმაციის შესაბამისად, საპროექტო ტერიტორიაზე სამშენებლო ბანაკისა და სხვა მსხვილი დროებითი ინფრასტრუქტურის მოწყობა გათვალისწინებული არ არის. სამშენებლო სამუშაოებისათვის საჭირო ბეტონის ხსნარის შეტანა მოხდება ბაღდათის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული ბეტონის საწარმოებიდან, ხოლო ინერტულ მასალად გამოყენებული იქნება ადგილზე ექსკავირებული ქანები. საჭიროების შემთხვევაში, ინერტული მასალის, მათ შორის, ქვაყრილისათვის საჭირო ქვების შეტანა განხორციელდება ლიცენზირებული კარიერებიდან. ნაპირდაცვით სამუშაოებში გამოყენებული იქნება ჩამჩიანი ექსკავატორი, ბულდოზერი, სატკეპნი,

პერფორატორი, საფუძვლის ფენის სტაბილიზაციის მექანიზმი, საწვავის ავტოცისტერნა, სარწყავი ავტოცისტერნა და ორი თვითმცლელი. ნაპირსამაგრი სამუშაოების სავარაუდო ხანგრძლივობა შეადგენს 6 თვეს და დასაქმდება დაახლოებით 15 ადამიანი.

დოკუმენტში წარმოდგენილია ინფორმაცია მდ. ხანისწყლის ჰიდროლოგიური მახასიათებლების შესახებ. საპროექტო ნაპირდამცავი ნაგებობები გაანგარიშებულია მდ. ხანისწყლის ჰიდროლოგიური რეჟიმის გათვალისწინებით. მდ. ხანისწყლის წყალშემკრები აუზის ფართობი, საპროექტო კვეთში, შეადგენს 94,1 კმ²-ს, 1%-იანი უზრუნველყოფის წყლის მაქსიმალური ხარჯი – 235 მ³/წმ-ს, ხოლო კალაპოტის ზოგადი წარეცხვის სიღრმე – 2-2.5 მეტრს.

სკრინინგის განცხადების მიხედვით, ნაპირსამაგრი სამუშაოების განხორციელებისას საპროექტო ტერიტორიაზე ემისიებისა და აკუსტიკურ ფონზე ზემოქმედების სტაციონარული წყაროები წარმოდგენილი არ იქნება. ნაპირდაცვითი სამუშაოების ეტაპზე ატმოსფერული ჰაერის დაბინძურების და ხმაურის გავრცელების ძირითადი წყაროები იქნება სამშენებლო ტექნიკა და სატრანსპორტო საშუალებები. დაგეგმილი საქმიანობის სპეციფიკისა და უახლოეს საცხოვრებელ სახლთან დაშორების მანძილის გათვალისწინებით, აღნიშნული სამუშაოები არ იქნება დაკავშირებული ატმოსფერული ჰაერის ხარისხზე და ხმაურის გავრცელებით გამოწვეულ მნიშვნელოვან ზემოქმედებასთან. ამასთან, აღსანიშნავია, რომ ნაპირდაცვითი სამუშაოები განხორციელდება მხოლოდ დღის საათებში.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის თანახმად, ნაპირდაცვითი სამუშაოების ეტაპზე წყლის გამოყენება საჭირო იქნება სასმელ-სამეურნეო დანიშნულებით, ხანძარსაწინააღმდეგო მიზნით და მშრალ ამინდებში სამშენებლო მოედნის მოსარწყავად. სასმელ-სამეურნეო დანიშნულებით გამოყენებული იქნება ბუტილირებული წყალი. საჭიროების შემთხვევაში, გზების და სამშენებლო მოედნის მოსარწყავად გათვალისწინებულია მდ. ხანისწყლის წყალის (650-700 მ³) გამოყენება. ობიექტზე წარმოქმნილი სამეურნეო-საყოფაცხოვრებო ჩამდინარე წყლების მართვა მოხდება ბიოტულაეტების საშუალებით, ან ალტერნატივის სახით, შესაძლოა გამოყენებული იქნას 10 მ³ ტევადობის საასენიზაციო ორმო, რომელიც პერიოდულად განიტვირთება შესაბამისი ხელშეკრულების საფუძველზე.

სკრინინგის განცხადების შესაბამისად, ნაპირსამაგრი სამუშაოების სპეციფიკის გათვალისწინებით, მდ. ხანისწყლისა და გრუნტის დაბინძურების ძირითადი რისკები უკავშირდება გაუთვალისწინებელ შემთხვევებს, როგორცაა: ნარჩენების არასწორი მართვა, ტექნიკისა და სატრანსპორტო საშუალებების გაუმართაობის გამო ნავთობპროდუქტების დაღვრა და სხვა. მსგავსი შემთხვევების თავიდან აცილების მიზნით, სამშენებლო მოედანზე დაწესდება კონტროლი, ხოლო სამუშაოები ჩატარდება მდინარის წყალმცირობის პერიოდში.

წარმოდგენილი ინფორმაციის მიხედვით, ნაპირსამაგრი სამუშაოების განხორციელების პროცესში მოსალოდნელია საყოფაცხოვრებო და მცირე რაოდენობით სახიფათო ნარჩენების წარმოქმნა, რომლებიც შეგროვდება სეპარირებულად, შესაბამის კონტეინერებში. საყოფაცხოვრებო ნარჩენები გატანილი იქნება ქ. ბაღდათის დასუფთავების მუნიციპალური სამსახურის მიერ, ხოლო სახიფათო ნარჩენები, შემდგომი მართვის მიზნით, გადაეცემა შესაბამისი ნებართვის მქონე კომპანიას. ნაპირსამაგრი სამუშაოების განხორციელების პროცესში ექსკავირებული გრუნტი გამოყენებული იქნება უკუყრისთვის.

სკრინინგის განცხადებაში მოცემულია საპროექტო ტერიტორიის საინჟინრო-გეოლოგიური პირობები და ჩატარებული კვლევის შედეგები, რომლის მიხედვით საპროექტო ტერიტორიაზე გამოიყოფა გრუნტის შემდეგი ფენები: ფენა №1 წარმოდგენილია ღორღოვანი გრუნტით, თიხნარის შემავსებლით, ლოდების შემცველობით, ასევე, კაჭარ-კენჭნარით, ქვიშნარისა და თიხნარის შემავსებლით; ფენა №2 წარმოდგენილია ძლიერ გამოფიტული, დაშლილი, სუსტი სიმტკიცის ტუფოქვიშაქვებით, ასევე, გამოფიტული, საშუალო სიმტკიცის ტუფოქვიშაქვებით. სახიფათო გეოდინამიკური პროცესებიდან, მდინარის კალაპოტში ფიქსირდება ეროზია, რომლის პრევენციაც წარმოადგენს დაგეგმილი ნაპირსამაგრი სამუშაოების მთავარ ამოცანას.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის თანახმად, საპროექტო ტერიტორია არ მდებარეობს არქეოლოგიური და კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების, ასევე, დაცული ტერიტორიების სიახლოვეს. ამასთან, სსიპ ეროვნული სატყეო სააგენტოს კორესპონდენციის შესაბამისად, shp ფაილებით წარმოდგენილი საპროექტო ტერიტორიის 3485 მ² ფართობიდან, „სახელმწიფო ტყის ფონდის საზღვრების დადგენის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2011 წლის 4 აგვისტოს №299 დადგენილებით დამტკიცებული სახელმწიფო ტყის ფონდის საზღვრების მიხედვით, 1071 მ² წარმოადგენს სსიპ ეროვნული სატყეო სააგენტოს მართვას დაქვემდებარებულ სახელმწიფო ტყეს, კერძოდ, ვანი-ბაღდათის სატყეო უბნის ხანის სატყეოს (კვარტალი №3, ლიტერი №1). სახელმწიფო ტყის ტერიტორიაზე „ტყითსარგებლობის წესის შესახებ“ დებულების დამტკიცების თაობაზე საქართველოს მთავრობის 2021 წლის 18 მაისის №221 დადგენილებით (თავი VIIIXIV) განსაზღვრული საქმიანობა ან მისი განკარგვა საჭიროებს შეთანხმებას სახელმწიფო ტყის მართვის უფლების მქონე ორგანოსთან. წარმოდგენილ დოკუმენტში მოცემულია საპროექტო ტერიტორიაზე ჩატარებული ფლორისტული და ფაუნისტური კვლევების შედეგები. მოსალოდნელი ზემოქმედების ზონაში გვხვდება შემდეგი ფლორისტული სახეობები: წაბლი, რცხილა, ნამვი, თამელი, ცრუაკაცია, ფოთოლმცვენი და მარადმწვანე ბუჩქნარები, ასევე, გვიმრები და ჩრდილის ამტანი ორლებნიანები, რომელთაგან საქართველოს „წითელი ნუსხით“ დაცულ სახეობას წარმოადგენს წაბლი (*Castanea sativa*). დოკუმენტის მიხედვით, ზემოქმედების არეალში გარემოდან ამოღებას ექვემდებარება 137 ძირი ხე-მცენარე (68 ძირი ცრუაკაცია, 26 ძირი წაბლი, 16 ძირი რცხილა, 22 ძირი მურყანი, 4 ძირი ქართული მუხა, ერთი ძირი ტყემალი), რომელთაგან 96 ძირი, მათ შორის, 22 ძირი მურყანი, 15 ძირი რცხილა, 4 ძირი ქართული მუხა, 17 ძირი წაბლი და 37 ძირი აკაცია მდებარეობს სახელმწიფო ტყის ტერიტორიაზე. სახელმწიფო ტყის ტერიტორიაზე არსებული ხე-მცენარეების გარემოდან ამოღება განხორციელდება განსაკუთრებული დანიშნულებით ტყით სპეციალური სარგებლობის უფლების მოპოვების გზით. რაც შეეხება საპროექტო ტერიტორიაზე გავრცელებულ ფაუნაზე, მათ შორის, იქთიოფაუნაზე, მოსალოდნელ ზემოქმედებას, ნაპირსამაგრი სამუშაოების პროცესში დაგეგმილი შემარბილებელი ღონისძიებების გათვალისწინებით, არ იქნება დაკავშირებული მნიშვნელოვან ზემოქმედებასთან.

„გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-7 მუხლის მე-5 ნაწილის შესაბამისად, სკრინინგის განცხადება გამოქვეყნდა გარემოსდაცვით საინფორმაციო პორტალზე და გადაიგზავნა ბაღდათის მუნიციპალიტეტის მერიის საინფორმაციო დაფაზე განთავსების მიზნით. ადმინისტრაციული წარმოების ეტაპზე, საზოგადოების მხრიდან, აღნიშნულ საქმიანობასთან დაკავშირებით, წერილობითი შენიშვნები და მოსაზრებები სააგენტოში არ ყოფილა წარმოდგენილი.

სკრინინგის განცხადების შესწავლით დგინდება, რომ ნაპირსამაგრი სამუშაოების სპეციფიკის და დაგეგმილი შემარბილებელი ღონისძიებების გათვალისწინებით, აღნიშნული სამუშაოები არ იქნება დაკავშირებული გარემოს სხვადასხვა კომპონენტებზე მოსალოდნელ მნიშვნელოვან ზემოქმედებასთან. მდ. ხანისწყლის ნაპირსამაგრი სამუშაოები წარმოადგენს გარემოსდაცვით ღონისძიებას, რომლის ძირითადი ამოცანაა მდინარის გვერდითი ეროზიის პრევენცია და მიმდებარე ტერიტორიების დაცვა.

ზემოაღნიშნული კრიტერიუმების გათვალისწინებით, „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-7 მუხლის მე-6 ნაწილის და ამავე კოდექსის II დანართის მე-9 პუნქტის 9.13 ქვეპუნქტის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. მიღებულ იქნეს სკრინინგის გადაწყვეტილება, რომ ბაღდათის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ ბაღდათის მუნიციპალიტეტში, სოფ. ხანში, მდ. ხანისწყლის ნაპირდაცვითი (ნაპირსამაგრი) სამუშაოები არ დაექვემდებაროს გარემოზე ზემოქმედების შეფასებას;
2. ბაღდათის მუნიციპალიტეტის მერია ვალდებულია „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-7 მუხლის მე-8 ნაწილის შესაბამისად, უზრუნველყოს გარემოსდაცვითი ტექნიკური რეგლამენტებით დადგენილი მოთხოვნებისა და გარემოსდაცვითი ნორმების დაცვა;
3. ბრძანება დაუყოვნებლივ გაეგზავნოს ბაღდათის მუნიციპალიტეტის მერიას და სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრს;

4. ბრძანება ძალაში შევიდეს ბაღდათის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ ამ ბრძანების გაცნობისთანავე;
5. სკრინინგის გადაწყვეტილების გაცემიდან 5 დღის ვადაში გადაწყვეტილება განთავსდეს გარემოსდაცვით საინფორმაციო პორტალზე და ბაღდათის მუნიციპალიტეტის მერიის საინფორმაციო დაფაზე;
6. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი №64) მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

ვასილ გედევანიშვილი



სააგენტოს უფროსი

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო

<https://edocument.ge/mea/public/#/2-21-4-202501131414>

